პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
„ბუღალტრული აღრიცხვა“ დანართი №13 -
მოდული „ინვენტარიზაცია“

(დამტკიცებული ბსუ-ს რექტორის 25.10.2019 წ. N01-02/168 ბრძანებით,
ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 12 აპრილის N01-02/57 ბრძანებით)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:** ბუღალტრული აღრიცხვა

**მოდულის სტატუსი:** პროფესიული მოდული

**მოდულის სახელწოდება:** ინვენტარიზაცია

ბათუმი, 2021

მოდული

| | |
|---|---|
| სარეგისტრაციო ნომერი | 0411409 |
| სახელწოდება | ინვენტარიზაცია |
| გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი | 07.08.2017/ 11.03.2021 |
| მოცულობა კრედიტებში | 2 |
| მოდულზე დაშვების წინაპირობა | - |
| მოდულის აღწერა | მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:<br>აღწერის მონაცემების შედარება სააღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შედეგების (ზედმეტობა/ დანაკლისი) ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებზე და საბალანსო მუხლების ინვენტარიზაცია. |

1.ზოგადი ინფორმაცია

2. სტანდარტული ჩანაწერები

| სწავლის შედეგები | შესრულების კრიტერიუმები | კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები | შეფასების მიმართულება |
|---|---|---|---|
| 1. აღწერის მონაცემების შედარება სააღრიცხვო მონაცემებთან | 1. დავალების შესაბამისად ადგენს **მატერიალური აქტივების** ნუსხას;<br>2. დავალების შესაბამისად ადგენს სამსახურეობრივ ბარათს მატერიალური აქტივების ნუსხის მატერიალურად პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემის თაობაზე;<br>3. დავალების შესაბამისად ამოწმებს აღწერის მონაცემების შესაბამისობას სააღრიცხვო მონაცემებთან;<br>4. დავალების შესაბამისად განსაზღვრავს აღწერის მონაცემებსა და სააღრიცხვო მონაცემებს შორის ხარვეზის/უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების სახეებს;<br>5. **სტანდარტების** შესაბამისად ადგენს მატერიალური აქტივების ინვენტარიზაციის უწყისს ჯგუფების მიხედვით. | **მატერიალური აქტივების სახეები:**<br>✓ ძირითადი საშუალებები<br>✓ საბრუნავი საშუალებები | პრაქტიკული დავალება |
| 2. ინვენტარიზაციის შედეგების (ზედმეტობა/ დანაკლისი) ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებზე | 1. დავალების შესაბამისად ახორციელებს საჭირო ბუღალტრული ანგარიშების იდენტიფიცირებას;<br>2. დავალების შესაბამისად ასახავს ინვენტარიზაციის შედეგებს ბუღალტრულ ანგარიშებზე;<br>3. მონაცემების შეუსაბამობის შემთხვევაში სწორად განსაზღვრავს მის გამომწვევ მიზეზებს;<br>4. დავალების შესაბამისად განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირ(ებ)ს. | სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში | პრაქტიკული დავალება |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| 3. საბალანსო მუხლების ინვენტარიზაცია | 1. დავალების შესაბამისად განსაზღვრავს ინვენტარიზაციას დაქვემდებარებულ საბალანსო მუხლების ჩამონათვალს;<br>2. დავალების შესაბამისად არჩევს საბალანსო მუხლების ინვენტარიზაციის მეთოდებს;<br>3. დავალების შესაბამისად ადგენს შედარების აქტს;<br>4. დავალების შესაბამისად ასახავს ინვენტარიზაციის შედეგებს ბუღალტრულ ანგარიშებზე. | სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში | პრაქტიკული დავალება |

3. დამხმარე ჩანაწერები

3.1. სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

| სწავლის შედეგი | თემატიკა | სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები | შეფასების მეთოდი/მეთოდები | მტკიცებულება/მტკიცებულებები სტუდენტის პორტფოლიოსთვის |
|---|---|---|---|---|
| 1 | • მატერიალური აქტივების სახეები<br>• მატერიალური აქტივების ნუსხის შედგენა<br>• მატერიალური აქტივების ნუსხის განკარგვა<br>• აღწერის მონაცემების შედარება სააღრიცხვო მონაცემებთან<br>• აღწერის მონაცემებსა და სააღრიცხვო მონაცემებს შორის | **ინტერაქტიული ლექცია-** პროფესიული განათლების მასწავლებელი გადასცემს ახალ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია ლექციის მსვლელობისას სტუდენტი არ იყოს ცოდნის პასიური მიმღები. ის თავად უნდა იყოს ჩართული ცოდნის აგების პროცესში რისთვისაც შესაძლებელია პროფესიული განათლების მასწავლებელმა ლექციის მსვლელობისას გამოიყენოს კითხვა-პასუხის რეჟიმი, გაარჩევინოს სტუდენტებს ქეისები, ჩართოს | **პრაქტიკული დავალება:**<br>• მატერიალური აქტივების ნუსხის შედგენა<br>• აღწერის მონაცემების შედარება სააღრიცხვო მონაცემებთან<br>• აღწერის მონაცემებსა და სააღრიცხვო მონაცემებს შორის ხარვეზის/უზუსტობის აღმოჩენა და გასატარებელი ღონისძიებების | **პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება**<br>სტუდენტის მიერ შესრულებული პროექტი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და არტეფაქტი ან/და ესე ან/და ამოხსნილი კაზუსი ან/და ელექტრონული ფაილი ან/და მატერიალური დოკუმენტი და სხვა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ხარვეზის/უზუსტობის აღმოჩენა და გასატარებელი ღონისძიებები<br>• მატერიალური აქტივების ინვენტარიზაციის უწყისს შედგენა ჯგუფების მიხედვით | დისკუსიაში, დამოუკიდებლად ამუშაოს ტექსტზე და ა.შ.<br><br>**პრაქტიკული მეცადინეობა-** მეცადინეობა, რომლის ფარგლებშიც პროფესიული განათლების მასწავლებელი/მენტორი ახდენს პროფესიული/პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას. სტუდენტები ჯერ პროფესიული განათლების მასწავლებლის/მენტორის დახმარებით, ხოლო შემდეგ უკვე დამოუკიდებლად იმეორებენ, ხვეწენ და განივითარებენ მოდულის სწავლის შედეგის ფარგლებში განსაზღვრულ კომპეტენციებს. | დაგეგმვა<br>• მატერიალური აქტივების ინვენტაციზაციის უწყისს შედგენა ჯგუფების მიხედვით | |
| 2 | • ინვენტარიზაციის შედეგების ანალიზი<br>• ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებზე<br>• ინვენტარიზაციისას შესაძლო შეუსაბამობის შემთხვევები<br>• ცდომილების აღმოფხვრის გზები<br>• პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა | **ინტერაქტიული ლექცია-** პროფესიული განათლების მასწავლებელი გადასცემს ახალ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია ლექციის მსვლელობისას სტუდენტი არ იყოს ცოდნის პასიური მიმღები. ის თავად უნდა იყოს ჩართული ცოდნის აგების პროცესში რისთვისაც შესაძლებელია პროფესიული განათლების მასწავლებელმა ლექციის მსვლელობისას გამოიყენოს კითხვა-პასუხის რეჟიმი, გაარჩევინოს სტუდენტებს ქეისები, ჩართოს დისკუსიაში, დამოუკიდებლად ამუშაოს ტექსტზე და ა.შ.<br><br>**პრაქტიკული მეცადინეობა-** მეცადინეობა, რომლის ფარგლებშიც | **პრაქტიკული დავალება:**<br><br>• ინვენტარიზაციის შედეგების ანალიზი<br>• ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებზე<br>• ინვენტარიზაციისას შესაძლო შეუსაბამობის შემთხვევები<br>• ცდომილების აღმოფხვრის გზების განსაზღვრა<br>• პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა | **პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება**<br>სტუდენტის მიერ შესრულებული პროექტი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და არტეფაქტი ან/და ესე ან/და ამოხსნილი კაზუსი ან/და ელექტრონული ფაილი ან/და მატერიალური დოკუმენტი და სხვა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პროფესიული განათლების მასწავლებელი/მენტორი ახდენს პროფესიული/პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას. სტუდენტები ჯერ პროფესიული განათლების მასწავლებლის/მენტორის დახმარებით, ხოლო შემდეგ უკვე დამოუკიდებლად იმეორებენ, ხვეწენ და ანივითარებენ მოდულის სწავლის შედეგის ფარგლებში განსაზღვრულ კომპეტენციებს. | | |
| 3 | • საბალანსო მუხლების არსი და სახეები<br>• ინვენტარიზაციას დაქვემდებარებული საბალანსო მუხლები<br>• საბალანსო მუხლების ინვენტარიზაციის მეთოდები<br>• საბალანსო მუხლების ინვენტარიზაცია<br>• ანალიზური და სინთეზური ანგარიშები და მათი შედარება<br>• დებიტორული დავალიანების ანგარიშების შედარება მომხმარებლის ანგარიშებთან<br>• კრედიტორული დავალიანების ანგარიშების შედარება მომწოდებლის ანგარიშებთან | **ინტერაქტიული ლექცია-** პროფესიული განათლების მასწავლებელი გადასცემს ახალ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია ლექციის მსვლელობისას სტუდენტი არ იყოს ცოდნის პასიური მიმღები. ის თავად უნდა იყოს ჩართული ცოდნის აგების პროცესში რისთვისაც შესაძლებელია პროფესიული განათლების მასწავლებელმა ლექციის მსვლელობისას გამოიყენოს კითხვა-პასუხის რეჟიმი, გაარჩევინოს სტუდენტებს ქეისები, ჩართოს დისკუსიაში, დამოუკიდებლად ამუშაოს ტექსტზე და ა.შ.<br><br>**პრაქტიკული მეცადინეობა-** მეცადინეობა, რომლის ფარგლებშიც პროფესიული განათლების მასწავლებელი/მენტორი ახდენს პროფესიული/პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას. სტუდენტები ჯერ პროფესიული | პრაქტიკული დავალება:<br><br>• საბალანსო მუხლების ინვენტარიზაცია<br>• დებიტორული დავალიანების ანგარიშების შედარება მომხმარებლის ანგარიშებთან<br>• კრედიტორული დავალიანების ანგარიშების შედარება მომწოდებლის ანგარიშებთან<br>• შედარების აქტის შედგენა | **პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება**<br>სტუდენტის მიერ შესრულებული პროექტი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და არტეფაქტი ან/და ესე ან/და ამოხსნილი კაზუსი ან/და ელექტრონული ფაილი ან/და მატერიალური დოკუმენტი და სხვა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | • შედარების აქტის შედგენა | განათლების მასწავლებლის/მენტორის დახმარებით, ხოლო შემდეგ უკვე დამოუკიდებლად იმეორებენ, ხვეწენ და განივითარებენ მოდულის სწავლის შედეგის ფარგლებში განსაზღვრულ კომპეტენციებს. | | |

3.2.საათების განაწილების სქემა

| სწავლის შედეგები | საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|---|
| | საკონტაქტო | დამოუკიდებელი | შეფასება | სულ |
| 1 | 10 | 8 | 1 | 50 |
| 2 | 10 | 4 | 1 | |
| 3 | 10 | 5 | 1 | |
| სულ | 30 | 17 | 3 | |

3.3. სასწავლო რესურსი

- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს);
- ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ფასს);
- ე. ხარაბაძე „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“;
- ა. ხორავა, ნ.კვატაშიძე, ნ.სრესელი, ზ.გოგრიჭიანი „ბუღალტრული აღრიცხვა“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ.

3.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების(სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

**მოდულის განმახორციელებელი პირი/პირები**

| № | სახელი და გვარი | საკონტაქტო ინფორმაცია |
|---|---|---|
| 1. | თინა ართმელაძე | მობ: +995 595 009 090, ელ- ფოსტა: ttiniko@gmail.com |